2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ჰყოფს ზამთრის არდადეგები:

- I სემესტრი იწყება 2023 წლის 15 სექტემბერს და მთავრდება 2023 წლის 29 დეკემბერს.
- II სემესტრი იწყება 2024 წლის 15 იანვარს და მთავრდება 2024 წლის:
  - ა) I კლასისთვის - 25 მაისს
  - ბ) II - XI კლასებისთვის - 14 ივნისს
  - გ) XII კლასისთვის - 20 მაისს.

2023-2024 სასწავლო წლის არდადეგებია:

- ზამთრის არდადეგები იწყება 2023 წლის 30 დეკემბერს და სრულდება - 2024 წლის 14 იანვარს;
- საგაზაფხულო არდადეგები იწყება 2024 წლის 8 მარტს და სრულდება 2024 წლის 17 მარტს;
- სააღდგომო არდადეგები იწყება 2024 წლის 2 მაისს და სრულდება 2024 წლის 6 მაისს.

2023-2024 სასწავლო წლის უქმე დღეებია:

უქმე დღეები	
14.10.2023	სვეტიცხოვლობა
23.11.2023	გიორგობის დღე
19.01.2024	ნათლისღება
03.03.2024	დედის დღე
08.03.2024	ქალთა საერთაშორისო დღე
09.04.2024	სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
02-06.05.2024	აღდგომის სადღესასწაულო დღეები
09.05.2024	ფაშიზმზე გამარჯვების დღე
12.05.2024	წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
26.05.2024	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

2023-24 სასწავლო წელს სწავლის ხანგრძლივობა მოიცავს:

- II – XI კლასებისთვის 36 კვირა;
- I კლასებისთვის 33 კვირა;
- XII კლასებისათვის 33 კვირა

სასწავლო კვირა არის ხუთდღიანი, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ექვსდღიანი სწავლებაც, თუ:

ა) სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სკოლა გადაწყვეტს საათობრივი ბადის განტვირთვას;

ბ) გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები, რის შესახებაც აუცილებლად ინფორმაციას მიაწვდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

გ) ობიექტური მიზეზების გამო, სკოლა მიზანშეწონილად მიიჩნევს, კვირის რომელიმე დღე, სამინისტროსთან შეთანხმებით, განსაზღვროს დასვენების დღედ.

შენიშვნა: ბ) და გ) შემთხვევებში მოხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დაუყოვნებლივი ინფორმირება.